# ხელშეკრულება №1
## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ქ. ხონი 03.01 2018 წელი

ერთის მხრივ, ხონის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი მერის ლადო ჯურხაძის სახით და მეორეს ინდ. მეწარმე „კახა კუხალაშვილი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), ორივე ერთად წოდებულნი როგორც მხარეები „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე: შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემგომში-ხელშეკრულება) შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 2017 წლის 31 დეკემბერს ახალი წლის ღონისძიებასთან დაკავშირებით მოწყობილი სცენის დემონტაჟის უზრუნველყოფა (CPV79900000 – სხვადასხვა კომერციული მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; CPV79952100-კულტურული ღონისძიების ორგანიზება)ხელშეკრულების და დანართის შესაბამისად.

### 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 350.00 (სამას ორმოცდაათი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

### 3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის და ზედნადების საფუძველზე.
3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლბამოსილ პირებს წარმოადგენენ ხონის მუნიციპალიტეტის მერი - და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

### 4. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

4.1 მომსახურეობა განხორციელდება: ქ. ხონი, თავისუფლების მოედანი №6.
4.2 მომსახურეობა განხორციელდება 2018 წლის 5 იანვრის ჩათვლით.

### 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურეობის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

### 6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

ქ. ხონში, ცენტრალურ მოედანზე საახალწლო სცენისდემონტაჟის

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

| № | სამუშაოს დასახელება | განზო-მილება | რაოდე-ნობა | მასალა | | ხელფასი | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთ. ფასი | ჯამი | ერთ. ფასი | ჯამი | |
| | საახალწლო სცენის მონტაჟი და დემონტაჟი, მანქანაზე დატვირთვა, დანიშნულების ადგილზე გადატანა და ჩამოცლა-დასაწყობება | $მ^2$ | 42.0 | | | 6.66 | 279.72 | 279.72 |
| | *ჯამი* | | | | | | | *279.72* |
| | *ზედნადები ხარჯები 3%* | | | | | | | *8.39* |
| | *ჯამი* | | | | | | | *288.11* |
| | *გეგმიური დაგროვება 3%* | | | | | | | *8.64* |
| | *ჯამი* | | | | | | | *296.75* |
| | *დღგ 18%* | | | | | | | *53.25* |
| | *სულ ჯამი* | | | | | | | *350.0* |

*შეადგინა:* *კ. კუხალაშვილი*

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ხონი 3 იანვარი 2018 წელი

ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნული შესყიდვის განხორციელება არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხონის მუნიციპალიტეტის მერი: ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
კულტურის, განათლების, სპორტის,
ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა
სამსახურის ხელმძღვანელი : მანანა გოფოძე